კვლევა ჩატარდა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის (CCIIR) მიერ ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისის მხარდაჭერით პროექტის „მულტილინგვური განათლების რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ ფარგლებში.

The research was conducted by The Center for Civil Integration and Inter-Ethnic Relations (CCIIR) within the project “Supporting Multilingual Education Reform in Georgia”. The project is funded by the OSCE High Commissioner on National Minorities.

გენდერული თანასწორობის საკითხი საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებისას

სახელმძღვანელოების გენდერული ანალიზი

ავტორები: ირმა ხომერიკი
მანანა ჯავახიშვილი
თამარ აბრამიშვილი

რედაქტორები: ნათია გორგაძე
ნინო გოგოლაძე

თბილისი
2012

შინაარსი

საკვლევი საკითხის მიმოხილვა	*3*
ზოგადი ინფორმაცია კვლევის შესახებ	*5*
კვლევაში გამოყენებული ტერმინების განმარტება	*6*
კვლევის მიზნები და ჰიპოთეზა	*7*
კვლევის ობიექტი	*7*
კვლევის დროს გამოყენებული მეთოდები	*9*
კვლევის შედეგები	*9*
სქესთა თანასწორობის საკითხების ასახვა ისტორიის სახელმძღვანელოებში:	
სახელმძღვანელოების ავტორთა გენდერული შემადგენლობა	*10*
სახელმძღვანელოების ილუსტრაციებში სქესთა რეპრეზენტაცია	*10*
სქესთა რეპრეზენტაცია ისტორიულ წყაროებში და სასწავლო აქტივობებში	*12*
სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ცნობილი ადამიანები	*12*
ქალისა და მამაკაცის საქმიანობა და გენდერული როლები	*13*
განხილულია თუ არა სახელმძღვანელოებში შესასწავლი საკითხები გენდერულ ჭრილში	*13*
სქესთა თანასწორობის საკითხების ასახვა სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოებში:	
სახელმძღვანელოების ავტორთა გენდერული შემადგენლობა	*20*
სახელმძღვანელოს ილუსტრაციებში სქესთა რეპრეზენტაცია	*20*
სახელმძღვანელოებში წარმოდგენილი ცნობილი ადამიანები	*23*
ქალისა და მამაკაცის საქმიანობა და გენდერული როლები	*24*
იძლევა თუ არა სახელმძღვანელოები გენდერული თანასწორობის საკითხების თეორიულ ცოდნას	*27*
გენდერული ხედვა სასწავლო აქტივობებში	*28*
დასკვნები	*31*
ზოგადი რეკომენდაციები	*33*
დანართი 1. ისტორია	*36*
დანართი 2. სამოქალაქო განათლება	*42*

საკვლევი საკითხის მიმოხილვა

2010 წლის 26 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი ,,გენდერული თანასწორობის შესახებ“, რომლის უმთავრესი მიზანია საკანონმდებლო დონეზე სქესის ნიშნით ადამიანთა თანასწორობის პრინციპების განმტკიცება და გენდერული თანასწორობის მისაღწევად შესაბამისი საკანონმდებლო გარანტიების შექმნა.

კანონი აღიარებს სქესის ნიშნით ადამიანთა თანასწორობას სოციალური და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, როგორიცაა შრომითი ურთიერთობები, განათლებისა და მეცნიერების სფერო, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სფერო, საოჯახო ურთიერთობები, საინფორმაციო რესურსებით სარგებლობა, საარჩევნო უფლებების რეალიზაცია და სხვ.

კანონით დეკლარირებული გენდერული თანასწორობის რეალურ ცხოვრებაში დამკვიდრების ხელშეწყობისათვის მნიშვნელოვანია გენდერული მიდგომების დანერგვა განათლების სფეროში. სასკოლო დისციპლინების სწავლება მნიშვნელოვან როლს თამაშობს გენდერული სტერეოტიპების ჩამოყალიბებაში და ასევე ხელს უწყობს უკვე გამყარებული სტერეოტიპების შეცვლას.

1994 წლიდან საქართველო შეურთდა ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაერთიანებული ერების კონვენციას და ამ კონვენციის მოთხოვნების შესრულების ვალდებულება იკისრა ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის, განათლებაშიც. კონვენციის ტექსტში ნათქვამია: „..აღმოიფხვრას ქალისა და მამაკაცის როლის სტერეოტიპული კონცეფციები...სასკოლო სახელმძღვანელოებისა და პროგრამების გადასინჯვის მეთოდების ადაპტაციის გზით“[1]. 1995 წელს საქართველო ასევე შეუერთდა პეკინის სამოქმედო პლატფრმას და ვალდებულება იკისრა ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესების ეროვნული სამოქმედო გეგმა შეემუშავებინა. ეს გეგმა 1998-2000 წლებში შემუშავდა, მასში ასევე აისახა სასკოლო სახელმძღვანელოების გენდერული ანალიზის განხორციელების საჭიროება.

[1] ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენცია, მუხლი 10.

1999 წელს საქართველომ პირველად წარადგინა ანგარიში გაეროს ქალის დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის კომიტეტში (CEDAW). სახელმწიფო ანგარიშთან ერთად ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადდა ალტერნატიული ე.წ. ჩრდილოვანი ანგარიშიც. ამის შემდეგ კომიტეტმა შეიმუშავა რეკომენდაციები საქართველოში ქალთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, გენდერული სტერეოტიპების აღმოსაფხვრელად. ამის საპასუხოდ გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება „საქართველოში ქალთა უფლებების დაცვის განმტკიცების ღონისძიებათა შესახებ." ამ ბრძანებულების ერთ-ერთი მუხლით, განათლების სამინისტროს სახელმძღვანელოების გენდერული ანალიზი დაევალა, რაც ჯერ კიდევ 1998-2000 წლის სამოქმედო გეგმის ფარგლებში უნდა განხორციელებულიყო: *„საქართველოს განათლების სამინისტრომ ჩაატაროს სახელმძღვანელოების განდერული ანალიზი სტერეოტიპების აღმოსაფხვრელად ცხოვრების ყველა სფეროში ქალთა და მამაკაცთა თანასწორუფლებიანობის დამკვიდრების მიზნით".* [1]

2006 წლის 24 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია, ხოლო 2007 წელს დაამტკიცა გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ღონისძიებათა 2007-2009 წლების სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმით გენდერული თანასწორობის მიღწევისათვის განათლების სფეროში შემდეგი ღონისძიებები დაიგეგმა:

- *განათლების სისტემაში გენდერთან დაკავშირებული სტერეოტიპების ჩანაცვლება ახალი, გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებული ხედვით განათლების ყველა საფეხურზე;*
- *საგანმანათლებლო პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში გენდერული ასპექტების გათვალისწინება;*
- *განათლების სამინისტროს საგანმანათლებლო სტანდარტების შემმუშავებელ შესაბამის ჯგუფში გენდერული საკითხების ექსპერტების ჩართვა;*

[1] პრეზიდენტის ბრძანებულება N511, 1999 წელი.

- *სახელმძღვანელოების გენდერული ექსპერტიზის განხორციელება სახელმძღვანელოებში გენდერული თანასწორობის გათვალისწინებით;*
- *პედაგოგთა უწყვეტი განათლების სისტემაში გენდერულ საკითხთა სწავლების კომპონენტის ჩართვა. (გენდერული თანასწორობის საგაზისო საკითხების შესახებ ინფორმაციის ჩართვა პედაგოგთა უწყვეტი განათლების პროგრამაში).*

2006 წელს კვლევა საქართველოს ქალთა ორგანიზაციების კოალიციის სამუშაო ჯგუფმა „ქალი და განათლება“ ეუთოს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის ბიუროს პროექტის ფარგლებში განახორციელა დაწყებითი კლასების სახელმძღვანელოების გენდერული ანალიზი. კვლევის მთავარი დასკვნა სახელმძღვანელოებში საკმარისად ძლიერი გენდერული სტერეოტიპების შემცველობას ადასტურებდა. შესაბამისად, სასკოლო სახელმძღვანელოების ჩვენს მიერ განხორციელებული ანალიზი, ამ ტიპის მეორე კვლევაა.

ზოგადი ინფორმაცია კვლევის შესახებ

მოცემული კვლევა განხორციელდა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ცენტრის პროექტის ,,არაქართულენოვანი სკოლების დახმარება განათლების სიტემის რეფორმირების პროცესში'' ფარგლებში. პროექტი ხორციელდება ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა უმაღლესი კომისრის ოფისის ფინანსური მხარდაჭერით. კვლევა განახორციელა განათლებისა და გენდერული საკითხების ექსპერტებმა: მანანა ჯავახიშვილი, ირმა ხომერიკი, თამარ აბრამიშვილი.

კვლევაში გამოყენებული ტერმინების განმარტება:

გენდერი – სქესთა შორის ურთიერთობის სოციალური ასპექტი, რომელიც გამოხატულია საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში და გულისხმობს სოციალიზაციით განპირობებულ შეხედულებებს ამა თუ იმ სქესზე.

გენდერული თანასწორობა – ადამიანის უფლებათა ნაწილი, რომელიც გულისხმობს ქალისა და მამაკაცის თანასწორ უფლება-მოვალეობებს, პასუხისმგებლობას და თანასწორუფლებიან მონაწილეობას პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში; იგულისხმება, რომ ქალსა და მამაკაცს აქვთ თანაბარი პირობები და ცხოვრებისეული შანსები თავიანთი პოტენციალის სრული რეალიზაციისათვის, თანაბრად მონაწილეობენ პროცესებში და თანაბრად სარგებლობენ საზოგადოებრივი სიკეთეებით, შესაძლებლობებითა და რესურსებით. მათი ინტერესები თანაბრად უნდა იყოს გათვალისწინებული ყველა დონეზე, ხოლო მათი წვლილი თანაბრად დაფასებული.

გენდერული დისკრიმინაცია – სქესის ნიშნით ნებისმიერი განსხვავება, გამიჯვნა ან/და შეზღუდვა, რომელიც გამოხატულია უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების განსხვავებული აღიარებით, შესაძლებლობების არათანაბარი წარმოჩენით, შესუსტებით ან უარყოფით და ხორციელდება პირდაპირი თუ ირიბი დისკრიმინაციის ფორმით.

პირდაპირი დისკრიმინაცია – სამართლებრივი აქტის, პროგრამის თუ სხვა საჯარო პოლიტიკის საფუძველზე პირის სქესის ნიშნით დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ჩაყენება.

ირიბი დისკრიმინაცია – სამართლებრივი აქტი, პროგრამა თუ სხვა საჯარო პოლიტიკა, რომელიც პირდაპირ არ მიუთითებს დისკრიმინაციაზე, მაგრამ რომლის განხორციელება დაკავშირებულია დისკრიმინაციული შედეგის დადგომასთან.

გენდერული ანალიზი - გულისხმობს ქალსა და მამაკაცზე ამა თუ იმ პოლიტიკის, პროგრამის, სტრატეგიული მიდგომის, ინსტიტუტის განსხვავებული ზემოქმედების

გამოვლენასა და შესწავლას. ნებისმიერი მასალის საგულდაგულო შესწავლას მასში გენდერული თანაფარდობის (თანასწორობის ან მათი ნაკლებობის) გამოსავლენად.

გენდერული სტერეოტიპი - ფართოდ გავრცელებული და ხშირად არაზუსტი შეხედულებები ქალისა და მამაკაცის უნარებზე, თვისებებსა და სოციალურ ქცევაზე. სტერეოტიპები ხელს უწყობს გენდერული როლების შეთვისებას და წარმოადგენს სოციალიზაციის მოდელებს ბავშვებისთვის.

გენდერული როლები - საზოგადოებისათვის ქალისა და მამაკაცის ტრადიციულად მისაღები როლები. ობიექტური საფუძვლის გარეშე სოციალიზაციის შედეგად ჩამოყალიბებული როლები, რომლებიც შესაძლოა ზღუდავდნენ ადამიანის ქცევას.

კვლევის მიზნები და ჰიპოთეზა:

კვლევის მიზნად დავისახეთ, გამოგვევლინა, რამდენად დაბალანსებულია საბაზო საფეხურის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების სასწავლო სახელმძღვანელოები გენდერული თანასწორობის კუთხით. კერძოდ:

- ასახავს თუ არა გენდერული თანასწორობის საკითხებს;
- ამყარებს თუ არა მოსწავლეებში პოზიტიურ დამოკიდებულებას სქესთა თანასწორობის შესახებ;
- გვხვდება თუ არა სასწავლო მასალებში გენდერული სტერეოტიპები;
- არსებული ანალიზის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება განათლების სისტემაში გენდერული ხედვის ინტეგრაცის ხელშეწყობისათვის.

წინასწარი დაშვებით, ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის საბაზო საფეხურზე (VII-IX კლასი) საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლება ვერ უზრუნველყოფს სქესთა თანასწორობის იდეის განვითარების ხელშეწყობას.

კვლევის ობიექტი:

კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს მიერ 2012 წელს გრიფირებული საბაზო საფეხურის ყველა

სახელმძღვანელო ისტორიასა და სამოქალაქო განათლებაში, სულ 8 სახელმძღვანელო. ანალიზის დროს საბაზო საფეხურს მიენიჭა უპირატესობა, რამდენადაც საშუალო საფეხურზე სწავლას აღარ აგრძელებს ყველა მოსწავლე (განსაკუთრებით ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები).

შევისწავლეთ საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს მიერ 2012 წელს გრიფირებული შემდეგი სახელმძღვანელოები:

1. ისტორია, მე-7 კლასი, ე. მეძმარიაშვილი, მ. პაპაშვილი, რ. დაუშვილი, თ. პაპასქირი, ლ. გიორგობიანი, გამომცემლობა „კლიო“
2. ისტორია, მე-7 კლასი, გ. სანიკიძე, ლ. გორდეზიანი, ლ. ფირცხალავა, გამომცემლობა „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
3. ისტორია, მე-8 კლასი, ე. მეძმარიაშვილი, თ. პაპასქირი, მ. პაპაშვილი, რ. დაუშვილი, ო. ჯანელიძე, ა. თაბუაშვილი, თ. ხატიაშვილი, მ. კავთიაშვილი, გამომცემლობა „კლიო“
4. ისტორია, მე-8 კლასი, გ. სანიკიძე, რ. გაჩეჩილაძე, ლ. გორდეზიანი, ნ. კიღურაძე, ზ. მიმინოშვილი, გამომცემლობა „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
5. საქართველოს ისტორია, მე-9 კლასი, ო. ჯანელიძე, ა. თაბუაშვილი, ლ. თავაძე, ნ. ირემაშვილი, გამომცემლობა „კლიო“
6. საქართველოს ისტორია, მე-9 კლასი, ნ. ასათიანი, მ. ლორთქიფანიძე, ფ. ლომაშვილი, რ. მეტრეველი, გ. სანიკიძე, გ. ოთხმეზური, გამომცემლობა „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“
7. სამოქალაქო განათლება, მე-9 კლასი, ნ. ტალახაძე, თ. ქალდანი, თ. ბრეგვაძე, ი. პეტრიაშვილი, გამომცემლობა ,,სიდი”
8. სამოქალაქო განათლება, მე-9 კლასი, თ. მეიფარიანი, ლ. მიქიაშვილი, ი. ჯალაღანია, მ. გონაშვილი, მ. თოქმაზიშვილი, დ. შავლოხაშვილი. რ. დალაქიშვილი, გამომცემლობა ,,საქართველოს მაცნე”

კვლევის დროს გამოყენებული მეთოდები

სახელმძღვანელოების გენდერულ ანალიზის განსახორციელებლად გამოვიყენეთ როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მეთოდები.
შესწავლილ იქნა მდედრობითი და მამრობითი პერსონების რეპრეზენტაციის რაოდენობრივი მაჩვენებლები ილუსტრაციებში და ტექსტში.
როგორც ტექსტი, ისე ილუსტრაციები შესწავლილ იქნა თვისებრივი მეთოდებითაც. გამოვყავით ისეთ კატეგორიები, როგორიცაა: მამაკაცისა და ქალის თვისებები, საქმიანობა და გენდერული როლები (საოჯახო სტატუსი, პროფესიული აქტივობა). ასევე შევისწავლეთ იძლევა თუ არა სახელმძღვანელოები გენდერული თანასწორობის საკითხების შესახებ თეორიულ ცოდნას და განხილულია თუ არა სახელმძღვანელოებში შესასწავლი საკითხები გენდერულ ჭრილში.

ქვემოთ ჩამოთვლილი პარამეტრები მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სახელმძღვანელოების კვლევისას, რამდენადაც მამაკაცისა და ქალის თანაბარი მონაწილეობა როგორც სახელმძღვანელოს შექმნის პროცესში, ისე სქესთა თანასწორი ასახვა სახელმძღვანელოს ტექსტსა თუ ილუსტრაციებში, მეტწილად განაპირობებს თემის შესახებ ორივე სქესის შეხედულებების ასახვასა და დაბალანსებული გენდერული სურათის შექმნას.

კვლევის შედეგები

საზოგადოებრივი მეცნიერებები სახელმძღვანელოებში სქესთა თანასწორობის საკითხების ასახვის დროს გამოიკვეთა საერთო ტენდენციები, თუმცა მეტი სიზუსტისათვის ანალიზს წარმოგიდგენთ საგნების მიხედვით. განათლების სფეროში ჩართული პირებისათვის საინტერესოა, სახელმძღვანელოთა ანალიზის არა მხოლოდ განზოგადებული შედეგები, არამედ საკვლევი საკითხის შესწავლის შედეგად მიღებული პირველადი მონაცემებიც საგნების, ასევე ცალკეული სახელმძღვანელოების მიხედვით. (იხელეთ დანართი 1. ისტორია, დანართი 2. სამოქალაქო განათლება).

სქესთა თანასწორობის საკითხების ასახვა ისტორიის სახელმძღვანელოებში

სახელმძღვანელოების ავტორთა გენდერული შემადგენლობა

სახელმძღვანელოს ავტორთა უმრავლესობა, 66% მამრობითი სქესისაა, ხოლო ქალი-ავტორები მხოლოდ 34% შეადგენენ.



სახელმძღვანელოების ილუსტრაციებში სქესთა რეპრეზენტაცია

სახელმძღვანელოების ილუსტრაციებში სქესთა რეპრეზენტაციის რაოდენობრივი მაჩვენებლები შემდეგია: ილუსტრაციების რაოდენობა, რომელზეც მხოლოდ მამრობითი სქესია გამოსახული (77%), მკვეთრად აღემატება მხოლოდ მდედრობითი სქესის გამოსახულებიან ილუსტრაციებს (საერთო რაოდენობის 7%). ილუსტრაციათა 16%-ზე ორივე სქესის წარმომადგენლები არიან გამოხატული.



ილუსტრაციების რაოდენობრივმა ანალიზმა აჩვენა ტენდენცია, რომ ილუსტრაციები თანაბრად არ წარმოაჩენს სხვადასხვა სქესს. მამაკაცთა გამომსახველი ილუსტრაციები დაახლ. 10-ჯერ მეტია, ქალის გამომსახველ ილუსტრაციებთან შედარებით.



სქესთა რეპრეზენტაცია ისტორიულ წყაროებში და სასწავლო აქტივობებში

ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ როგორც „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ მიერ შედგენილ სახელმძღვანელოებში (სამივე კლასის), ასევე „კლიოს“ სახელმღძვანელოებში (სამივე კლასის) დაახლოებით 20-22 ისტორიული წყაროა, რომელიც ქალზე ან ქალთა ჯგუფზე მოგვითხრობს, ან ქალი ავტორი ჰყავს. ასევე სახელმძღვანელოში მოცემულ სასწავლო აქტივობაში, დავალებებში „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ მიერ შედგენილ სახელმძღვანელოებში (სამივე კლასის), ასევე „კლიოს“ სახელმღძვანელოებში (სამივე კლასის) დაახლოებით 11-12 სასწავლო აქტივობაში გვხვდება ქალთა სქესთა რეპრეზენტაცია.

სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ცნობილი ადამიანები

ქალთა სქესი და მათი როლი და დამსახურება მწირადაა წარმოდგენილი სახელმძღვანელოში. გამოჩენილი ადამიანების დიდი უმრავლესობა მამაკაცია. სახელმძღვანელოში მოხსენებულია მდედრობითი სქესის სულ 80-მდე ისტორიული პირი.

გამომცემლობა „კლიოს“ მიერ შედგენილ სახელმძღვანელოებში ისტორიულ პირ ქალთა რეპრეზენტაცია უფრო მეტია, ვიდრე „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ მიერ შედგენილ სახელმძღვანელოებში. მაგალიათად, თუ „კლიოს“ მე-8 კლასის სახელმძღვანელოში 10 ისტორიული პირი ქალია დასახელებული (20-ჯერ), „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ იმავე კლასის სახელმძღვანელოში - 5 (12-ჯერ) და ა.შ. რაც მთავარია, ჯამურად ექვსივე სახელმძღვანელოში, რომელიც 2000 გვერდზე მეტს შეადგენს, ისტორიულ პირ ქალთა რაოდენობა ძალიან მცირეა, მხოლოდ 80-მდე ისტორიული პირი ქალია მოხსენიებული პრეისტორიული ეპოქიდან 21-ე საუკუნემდე.

ქალისა და მამაკაცის საქმიანობა და გენდერული როლები

ორივე გამომცემლობის სახელმძღვანელოთა ტექსტსა და ილუსტრაციებში ქალთა როლი პასიურია, მამაკაცის როლთან შედარებით.

მამაკაცი მეფე-მბრძანებელი, გადაწყვეტილების მიმღები, მებრძოლი, მხედართმთავარი თუ მეამბოხე, აქტიური მოღვაწეა, იგი „ქმნის“ ისტორიას, ხოლო ქალი პასიურ, „უმნიშვნელო“ როლშია.

ილუსტრაციებზე მამაკაცები, მათზე დაკისრებული როლებიდან გამომდინარე, ბევრად აქტიურები, შეუპოვრები, მებრძოლნი არიან, ხოლო ქალები ძირითადად შრომით ან გართობით არიან დაკავებულნი; ასეთი ილუსტრაციები ქალთა - „პასიური“, ხოლო მამაკაცის „მნიშვნელოვანი“ როლის მცდარი სტერეოტიპული აზროვნების განმტკიცებას ემსახურება.

განხილულია თუ არა სახელმძღვანელოებში შესასწავლი საკითხები გენდერულ ჭრილში

როგორაა ამ სახელმძღვანელოებში ასახული ისტორიული პროცესები და ისტორიული პიროვნებები?

ამ კითხვაზე პასუხი მოკლედ შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: ეს არის „მამაკაცთა ისტორია“, ეს არის ომების, სახელმწიფო მოღვაწეების ისტორია.

უფრო ვრცლად საკითხი ამგვარად დგას:

რამდენადაც ისტორიის სახელმძღვანელოები ძირითადად გადმოგვცემენ კაცობრიობის პოლიტიკურ (ბრძოლების, კონფლიქტების) ისტორიას, რა თქმა უნდა, ისინი მეტწილად სწორედ მამაკაცთა საქმიანობასა და ისტორიებს მოგვითხრობენ. სამწუხაროდ სოციალურ, ეკონომიკურ, ყოველდღიურ, კულტურულ ისტორიას ნაკლები ადგილი ეთმობა სახელმღძვანელოებში. შესაბამისად, რამდენადაც ისტორიულად ისე ჩამოიყალიბდა, რომ ქალები არ/ვერ მონაწილეობდნენ

მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, არ მართავდნენ, არ განაგებდნენ სახელმწიფოებს, შესაბამისად, არც ქვეყნისთვის „მნიშვნელოვანი“ საკითხების გადაწყვეტაში იღებდნენ მონაწილეობას. თუმცა სახელმძღვანელოთა ავტორებს არ უნდა გაეშვათ ქალთა რეპრეზენტაციისა შესაძლებლობა იმ კონკრეტულ ისტორიულ კონტექსტში, სადაც კი ამის საშუალება, რეალური ფაქტები არსებობდა. მაგალითად, ეგვიპტის ისტორიის (ქალი-ფარაონი ჰატშეპსუტი, ქალი-ფარაონი კლეოპატრა) და სხვა ანალოგიურ შემთხვევებში (მაგალითად, საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს 6 000 ქალის მსვლელობა ვერსალისაკენ, 1918 წლიდან საქართველოს ქალთათვის ხმის უფლების მინიჭების უმნიშვნელოვანესი ფაქტი და სხვ.), როდესაც კონკრეტული ისტორიული პირი ქალები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ თავიანთი ქვეყნის ცხოვრებაში.

ისტორიის სახელმძღვანელოების კითხვისას ხშირად ჩნდება განცდა (განსაკუთრებით კი მე-8 კლასის სახელმძღვანელოების განხილვისას, რადგან ამ კლასის სახელმძღვანელოები კონფლიქტების ისტორიას ეძღვნება), რომ ქალები საერთოდ არ ჩანდნენ, არანაირად არ მონაწილეობდნენ ისტორიულ პროცესებში.

ამ მხრივ განსაკუთრებით თვალში საცემია გამომცემლობა „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ მე-8 კლასის სახელმძღვანელო. მაგალითისათვის, ამ სახელმძღვანელოში უბრალოდ ფაქტების კონსტატაციის დონეზეა მოცემული ისრაელის ჯარში ქალთა სამსახურის აუცილებლობა (ჯარისკაცი ქალის ფოტო, გვ. 161) და ათა თურქის რეფორმებზე საუბრისას ქალებისათვის საარჩევნო უფლებების მინიჭება, მრავალცოლიანობისა და ჩადრის ტარების აკრძალვა, გოგონებისათვის სკოლაში სავალდებულო სწავლება (გვ. 229). ამ შემთხვევაში ჩვენ ვერ ვხედავთ სახელმძღვანელოთა ავტორების გენდერულ მგრძნობელობას, შეძლებისდაგვარად ქალთა რეპრეზენტაციის სურვილს. მიუხედავად იმისა, რომ გაკვეთილს თან ახლავს ისტორიული წყარო, ნაწყვეტი ქემალ ათათურქისა გამოსვლიდან, რომელიც ქალთა მძიმე მდგომარეობას ასახავს, მას არ მოსდევს სასწავლო აქტივობა, რომელიც განხილვის საგნად აქცევდა თურქი ქალების მდგომარეობას იმ პერიოდისათვის.

მეორე მხრივ, იგივე თემითაა შემოსაზღვრული „კლიოს“ გამომცემლობის მე-8 კლასის სახელმძღვანელოც, აქ ქალთა რეპრეზენტაცია უფრო ფართოა. ეგვიპტის ისტორიის გაკვეთილი მოგვითხრობს ნეფერტიტის შესახებ, ასევე მას თან ახლავს დავალება, სადაც მოსწავლემ უნდა დაასახელოს ეგვიპტის ცნობილი დედოფლები, ასევე უპასუხოს შეკითხვას: „რა ადგილი ეკავათ ქალებს ეგვიპტის საზოგადოებაში“ (გვ. 283). ამდენად, სახელმძღვანელოების ავტორებმა შეძლეს მეტ-ნაკლებად აესახათ ქალთა ისტორია ეგვიპტის სამეფოში და ასევე მიეცათ მასალა მოსწავლეთათვის ქალთა როლის შესახებ სამსჯელოდ.

აგრეთვე ძველი საბერძნეთის ისტორიის განხილვისას, მიეცათ დავალება: „რა სახის განათლებას იღებდნენ გოგონები? რატომ არ სწავლობდნენ ისინი სკოლაში? რა ადგილი ეკავათ მათ საზოგადოებაში?“, მიცემულია ასევე თემა „გოგონებისა და ბიჭების განათლება ძველ აღმოსავლეთში“(გვ. 288).

რენესანსის ეპოქაზე მსჯელობისას ვკითხულობთ: “ქალებს მხოლოდ ცხენზე ჯირითს, ცეკვას, სიმღერას და არფაზე დაკვრას ასწავლიდნენ. ქალებს მათემატიკა და რიტორიკა არ უნდა ესწავლათ. ისინი კარგი მეუღლეები და დედები უნდა ყოფილიყვნენ“, რასაც ახლავს შემდეგი დავალება:“იმსჯელე, რა ადგილი ეკავათ ქალებს რენესანსის ეპოქის ჰუმანისტურ საზოგადოებაში; რატომ არ ასწავლიდნენ გოგონებს მათემატიკასა და რიტორიკას? იმსჯელე, რა იყო გოგონებისა და ბიჭების განსხვავებული განათლების მიღების მიზეზები.“ ვთვლით, რომ აქ სწორი აქცენტებია დასმული გენდერული როლებისა და სტერეოტიპების ჩამოყალიბების შესახებ სამსჯელოდ. ამავე სახელმძღვანელოში საუბარია ასევე ოლიმპიური თამაშებზე ქალების არდაშვების შესახებ (გვ. 297).

„ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ მე-7 კლასის ისტორიის სახელმძღვანელოში ეგვიპტელ ფარაონებში ქალი-ფარაონები არ არის მოხსენიებული. იმ პირობებში, როდესაც იმ პერიოდის ისტორიულ პროცესების აღწერილობებში (ისტორიულ წყაროებში) ქალთა აქტიურობა საკმარისად არ ჩანს, ავტორთა კოლექტივს, ჩვენი

აზრით, არ უნდა გაეშვა შესაძლებლობა აღეწერა (მოეხსენიებინა) ეგვიპტის ქალი-ფარაონები ხატშეპსუტი და კლეოპატრა.

ამავე სახელმძღვანელოში 2 გაკვეთილი სრულად ეძღვნება ბავშვთა უფლებებს, რაც, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ, ასევე სასურველი იქნებოდა, რომ ქალთა უფლებებზეც გამახვილებულიყო ყურადღება.

გენდერული სტერეოტიპების გამყარების კუთხით, აღნიშნულ სახელმძღვანელოში შუა საუკუნეებში გლეხობის მდგომარეობისა და საქმიანობის აღწერისას აღნიშნავენ: „მამაკაცები ოჯახისათვის საჭირო ნივთებს ამზადებდნენ, ქალები კი ართავდნენ, ქსოვდნენ და კერავდნენ ტანსაცმელს“ (გვ. 263). ეს წინადადება არაკორექტულად მიგვაჩნია გენდერული კუთხით, იგი ხელს უწყობს გენდერული სტერეოტიპის გამყარებას იმის შესახებ, რომ ისტორიულად მამაკაცი უფრო მნიშვნელოვან საქმიანობას ეწეოდა, ვიდრე ქალი. მამაკაცები „საჭირო ნივთებს ამზადებდნენ“, ხაზგასმულია კაცის საქმიანობის უპირატესობა ქალთა საქმიანობასთან შედარებით, ამ უკანასკნელის საქმიანობა მნიშვნელოვნად და საჭიროდ არ გამოიყურება. ქალი ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენებისას ჩნდება. მაგალითად, შუა საუკუნეების ტურნირების მფარველები ქალები იყვნენ (გვ. 267). ქალებზე ვრცელი საუბარია რაინდული პოეზიის განვითარებაზე მსჯელობისას და ზოგადად, შუა საუკუნეებში რაინდული კულტურის ჩამოყალიბების თავისებურებების ანალიზისას. რასაკვირველია, ქალი იყო მთავარი ინსპირატორი (მამაკაცისთვის) რაინდული პოეზიის განვითარებაში, მაგრამ ამ შემთხვევაშიც აქტორი მაინც მამაკაცია. აქედან გამომდინარე, მოსწავლეს შეიძლება შეექმნეს მცდარი წარმოდგენა, ჩამოუყალიბდეს სტერეოტიპული აზროვნება ქალის ნაკლებად მნიშვნელოვანი, მეორეხარისხოვანი როლის შესახებ.

თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, ამავე სახელმძღვანელოს ავტორთა კოლექტივის ნაშრომის სასარგებლოდ, რომ შუა საუკუნეების იაპონიის ისტორიის გაკვეთილს ერთვის ინფორმაცია იაპონელი ქალი-ავტორის რომანის „მოთხრობა განძის შესახებ“ (გვ. 238), რაც ძალზე მნიშვნელოვანია იმ პერიოდის ქალი-ინტელექტუალების

წარმოსაჩენად. იქვე ვკითხულობთ: „ეს ნაწარმოები ისტორიაში პირველ რომანად ითვლება, რომელიც რეალურ მოვლენებზეა დაფუძნებული. გაოცებას იწვევს ის, რომ ამ რომანის ავტორი ქალია, თუ გავითვალისწინებთ, რომ იმ ხანებში ქალებს განათლების მიღებისა და მოგზაურობის მეტად შეზღუდული შესაძლებლობები ჰქონდათ.“[1] ასევე აღნიშნულია, რომანის ავტორი-ქალის დიდი მწერლური ოსტატობა; ამ ფაქტის საილუსტრაციოდ, სასურველი იქნებოდა, რომ ინფორმაციასთან ერთად სახელმძღვანელოში მოცემული ყოფილიყო ნაწყვეტი ამ ნაწარმოებიდან.

„კლიოს“ გამომცემლობის მე-7 კლასის სახელმძღვანელოში ჩვენთვის საინტერესო კუთხით, შინაარსობრივად უკეთესი მდგომარეობა იკვეთება. ეგვიპტის უძველეს ისტორიაზე საუბრისას მოხსენიებულია ეგვიპტის ცნობილი ქალი-ფარაონი ჰატშეფსუტი, რომელიც მამაკაცის ტანსაცმელსა და ხელოვნურ წვერს ატარებდა. თუმცა იქვე შეიძლებოდა დავალების მიცემა, კითხვის დასმა მოსწავლისათვის, მისი აზრით, რაში დასჭირდა ქალ-ფარაონს ამგვარი ქცევის განხორციელება? ეს დავალება დაეხმარებოდა მოსწავლეს გენდერული როლების, იმდროინდელ საზოგადოებაში ქალის მდგომარეობის შესახებ მსჯელობისას.

მეორე მხრივ, ავტორები წერენ: “ყველაზე მეტი უფლებები აღმოსავლეთის ქვეყნებში ეგვიპტელ ქალებს ჰქონდათ. ქალს ქმრის თანაბარი ქონება და მემკვიდრეობის მიღება შეეძლო. ბევრი თანამდებობა მისთვის მიუღწეველი იყო, თუმცა საკუთარი საქმის წარმოება შეეძლო. უმაღლესი ფენის ქალებს ქურუმად გახდომა შეეძლოთ.“ (გვ.47) ტექსტს თან ახლავს დავალება: „იმსჯელე ქალის მდგომარეობაზე ეგვიპტურ საზოგადოებაში/გაიხსენე ცნობილი ქალი ფარაონი“.

სპარტის საზოგადოების ცხოვრების აღწერისას იმავე სახელმძღვანელოში წერია: „თუ ბრძოლის დროს ვაჟი სიმხდალეს იჩენდა, მის სატრფოს სჯიდნენ“ (გვ.76). ასევე

[1] სასურველი იქნებოდა, რომ სახელმძღვანელოს ავტორებს აქვე მიეთითებინათ რომანის სავარაუდო ავტორის სახელი და მისი სოციალური მდგომარეობა; ის უნდა ყოფილიყო დიდებული ქალბატონი მურასაკი სიკიბუ, რომელიც X-XI საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწეობდა იმპერატორი-ქალის, სესის კარზე.

“მოქალაქე ქალები და ბავშვები უუფლებონი იყვნენ“ (გვ.78). გაკვეთილზე თანდართულ დავალებაში მოსწავლეს ქალის საქმიანობის აღწერა დაევალა. მიგვაჩნია, რომ აქ ადექვატური იქნებოდა, რომ მოსწავლისათვის მიეცათ დავალება სპარტაში ქალის მდგომარეობაზე სამსჯელოდ.

მაიას ცივილიზაციის შესახებ გაკვეთილში შრომის განაწილებაზე საუბრისას, ვკითხულობთ: „ქალები სახლს უვლიდნენ, ბავშვებს ზრდიდნენ და საჭმელს აკეთებდნენ.“ (გვ. 190); ხოლო აცტეკების შესახებ: „აცტეკ ბიჭებს და გოგონებს დაბადებიდანვე საზოგადოებაში განსხვავებული როლი ჰქონდათ.“ როდესაც ბიჭი ჩნდებოდა, ამბობდნენ: „უნდა გაიგო, რომ შენი ადგილი არ არის იქ, სადაც დაიბადე. შენ მეომარი ხარ.“ გოგოს დაბადებისას კი: „როგორც გულია სხეულში, ისე შენ უნდა იყო სახლში“. აცტეკ ქალს როგორც საკუთრების ქონის, ასევე მემკვიდრეობის მიღების უფლება ჰქონდა...ქალებს ევალებოდათ სახლში მუშაობა, ქსოვილების დამზადება და ბავშვების გაზრდა. თუმცა ზოგიერთი მათგანი ქურუმი ხდებოდა“ (გვ. 195); „გოგონებს სახლში ასწავლიდნენ საჭმლის კეთებას, ვაჭრობას, ბავშვების მოვლასა და ქსოვას“, ბიჭებს კი სკოლაში აძლევდნენ განათლებას. მოტანილ მონაკვეთში, ჩვენი აზრით, კარგადაა ნაჩვენები ისტორიულ პროცესში ქალისა და მამაკაცის განსხვავებული გენდერული როლების განაწილება.

იმავე სახელმძღვანელოში აღორძინების ხანაზე საუბრისას, ვკითხულობთ:“ქალის მთავარი როლი მხოლოდ სახლისათვის თვალყურის დევნება იყო, დალაგება, დასუფთავება, საჭმლის მომზადება, ბავშვების მოვლა“ (გვ. 211). ასევე დართული აქვს დავალება ქალის მდგომარეობაზე სამსჯელოდ. ქალის როლზეა გამახვილებულია ყურადღება აგრეთვე ევროპული ქალაქური ყოფის აღწერისას (გვ. 227), სადაც ნაჩვენებია ქალის ტრადიციული როლი, მოველეობა შუა საუკუნეების საზოგადოებაში.

მე-9 კლასის სახელმძღვანელოები საქართველოს ისტორიას ეძღვნება. აქაც „კლიოს“ გამომცემლობის სახელმძღვანელოში უფრო მეტია ქალთა რეპრეზენტაცია. აქ საუბარია დარეჯან დედოფალზე, ეკეტერინე ჭავჭავაძეზე, მარჯორი უორდროპზე,

რომელთა შესახებ „ბაკურ სულაკაურის გამომცელობის“ ავტორთა კოლექტივი არ საუბრობს.

ზოგადად უნდა ითქვას, რომ საქართველოს ისტორიის მე-9 კლასის ორივე სახელმძღვანელოში ნაკლებადაა საუბარი ქალების როლზე საქართველოს ისტორიაში, მხოლოდ თამარის ფიგურაზეა გამახვილებული ყურადღება.

ზოგადად, შინაარსობრივმა კვლევამ გვიჩვენა, რომ გენდერული მგრძნობელობის არსებობისა და გენდერულ სტერეოტიპებთან ბრძოლის სურვილის შემთხვევაში ისტორიის სახელმძღვანელოთა შედგენისას სრულიად შესაძლებელია ქალთა რეპრეზენტაცია, ქალთა როლისა და ადგილის, მნიშვნელოვნების წარმოჩენა.

ისტორიის სახელმღვანელოთა რაოდენობრივმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ქალთა რეპრეზენტაცია როგორც ტექსტში ასევე ილუსტრაციებში, ისტორიულ წყაროებსა და სასწავლო აქტივობებში მცირეა, იგი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება მამაკაცთა რეპრეზენტაციას.

სქესთა თანასწორობის საკითხების ასახვა სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოებში

სახელმძღვანელოების ავტორთა გენდერული შემადგენლობა

სახელმძღვანელოს ავტორთა უმრავლესობა 82% მდედრობითი სქესისაა, ხოლო მამაკაცები ავტორთა მხოლოდ 18% შეადგენენ. ეს ერთადერთი რაოდენობრივი მაჩვენებელია, სადაც ანალიზის დროს ქალთა უპირატესობა გამოვლინდა.



სახელმძღვანელოების ილუსტრაციებში სქესთა რეპრეზენტაცია

სახელმძღვანელოების ილუსტრაციებში სქესთა რეპრეზენტაციის რაოდენობრივი მაჩვენებლები შემდეგია:



ილუსტრაციების რაოდენობა, რომელზეც მხოლოდ მამრობითი სქესია გამოსახული (საერთო რაოდენობის 43%) , მკვეთრად აღემატება მხოლოდ მდედრობითი სქესის გამოსახულებიან ილუსტრაციებს (საერთო რაოდენობის 15%). ილუსტრაციათა 6 %-ზე სქესი არ არის მკაფიოდ გამოხატული.



დადებით ტენდეციად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ სახელმძღვანელოში არის ილუსტრაციები რომელზეც ორივე სქესის წარმომადგენლები ერთადაა გამოსახული და მათი წილი საერთო რაოდენობის 36%-ს შეადგენს. ასევე ის, რომ შერეული ილუსტრაციების თითქმის ნახევარი (46%) თანაბრად წარმოგვიდგენს ორივე სქესს. თუმცა, შერეული ილუსტრაციების რაოდენობრივმა ანალიზმა აჩვენა, რომ ილუსტრაციები ყოველთვის თანაბრად არ წარმოაჩენს ქალსა და მამაკაცს, მიუხედავად იმისა რომ ორივე სქესს ასახავს. ფოტოები, სადაც მამაკაცთა რაოდენობრივი უპირატესობაა (38%) თითქმის ორნახევარჯერ აღემატება იმ ფოტოების რაოდენობას, სადაც ქალი დომინირებს (16%).



ილუსტრაციების რაოდენობრივმა ანალიზმა გამოავლინა დისკრიმინაციული მიდგომა სქესთა რეპრეზენტაციის დროს. ილუსტრაციები, რომელშიც მხოლოდ მდედრობითი სქესია/ან მდედრობითი სქესი დომინირებს 22%-ია, მხოლოდ მამრობითი/ან მამრობითი სქესი დომინირებს 61%-ია. სახელმძღვანელოებში თითქმის სამჯერ უფრო ხშირად მიმართავენ მამაკაცთა ილუსტრირებას, ვიდრე ქალისას, ხოლო იმ ილუსტრაციების წილი, რომელიც თანაბრად წარმოაჩენს ორივე სქესს მხოლოდ 17 %-ია.



უნდა აღინიშნოს, რომ ერთ-ერთ სახელმძღვანელოში (გამომცემლობა ,,საქართველოს მაცნე”) რუბრიკები (ინდივიდუალური, წყვილებში თუ ჯგუფური სამუშო) აღნიშნულია ადამიანის გამოსახულებიანი გარკვეული სიმბოლოებით. ქალის გამოსახულებიანი სიმბოლო 12-ჯერ არის გამოყენებული, მამაკაცის 11-ჯერ, ხოლო 40 შემთხვევაში სიმბოლოში თანაბრადაა წარმოდგენილი ორივი სქესი. ეს სიმბოლოები გენდერული მგრძნობელობითაა შერჩეული და რაოდენობრივი თანაფარდობაც დაცულია, რაც შეიძლება მივიჩნიოთ დადებით პრაქტიკად.

სახელმძღვანელოში წარმოდგენილი ცნობილი ადამიანები

კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ, არის თუ არა სახელმძღვანელოში მოხსენიებული ისტორიული პირი ქალი/ქალთა ჯგუფი, მოძრაობა, ქალთა ან გენდერულ პობლემებზე მომუშავე ორგანიზაცია.

გამომცემლობა ,,სიდის” სახელმძღვანელოში მდედრობითი სქესის ცნობილი ადამიანებიდან პარლამენტარიზმზე საუბრის დროს ნახსენებია მხოლოდ თამარ მეფე, რომელსაც ,,დარბაზმა” ძალაუფლება შეუზღუდა და ეკატერინე მეორე, რომლის მეფობის დროსაც ალკოჰოლზე დამოკიდებულ პირებს გაროზგვით სჯიდნენ.

მისასალმებელია, რომ ალტერნატიულ სახელმძღვანელოში (გამომცემლობა ,,საქართველოს მაცნე”) თემის ,,გამოჩენილი ადამიანები” ფარგლებში მოცემულია ორივე სქესის ადამიანის ბიოგრაფია. თუმცა, ამავე სახელძღვანელოში მოხსენიებული 5 ქალი პერსონადან (დედა ტერეზა, სალომე დადიანი, ნინო პოლტორაცკაია, ბეატრიჩე, ლაურა) სამი ნახსენებია როგორც ცნობილი ადამიანების სატრფო/მეუღლე და არა საკუთარი დამსახურების გამო, ხოლო ერთი მოხსენიებულია უარყოფით კონტექსტში, როგორც ,,შინაური მტერი”.

სახელმძღვანელოებში მოხსენებულია მდედრობითი სქესის სულ 7 ისტორიული პირი და 2 ორგანიზაცია, რომლის სახელიც ქალთანაა დაკავშირებული.

სახელმძღვანელოებში ნახსენები გამოჩენილი ადამიანების დიდი უმრავლესობა მამაკაცია, ქალთა როლი და დამსახურება კი იგნორირებულია.

ქალისა და მამაკაცის საქმიანობა და გენდერული როლები

სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოში სტატიკურ პორტრეტებს სჭარბობს ილუსტრაციები, სადაც ასახულია მოქმედებები, ურთიერთობები, რაც პოზიტიურად შეიძლება ჩაითვალოს და უფრო მეტად იძლევა საშუალებებას რეალურ ცხოვრებაში განსხვავებულ სქესთა ყოველდღიური საქმიანობის, ურთიერთობების მრავალფეროვნების ასახვის.

გამომცემლობა ,,სიდი"-ს სახელმძღვანელოებში შედარებით უკეთაა ასახული ქალის პროფესიული საქმიანობა. ქალი არ არის წარმოდგენილი მხოლოდ საოჯახო საქმიანობის დროს, დედისა და დიასახლისის როლში, არამედ ჩართულია სასწავლო პროცესში, კონკურენციის მონაწილეა, დასაქმებულია, აქვს საკუთარი შემოსავალი. მიუხედავად იმისა, რომ რეალურ ცხოვრებაში სპორტში ქალებს მნიშვნელოვანი მიღწევები აქვთ, პროფესიული სპორტის ამსახველ ილუსტრაციებში, მხოლოდ მამაკაცები დომინირებენ.

ნაკლებადაა წარმოდგენილი მამაკაცი საოჯახო საქმიანობისას, მხოლოდ ერთი ილუსტრაციაა, სადაც ჭურჭელს რეცხავს და ისიც იძულებით, ტრეფიკინგის მსხვერპლია. აღსანიშნავია, რომ ეს ფოტო მეორდება გამომცემლობა ,,საქართველოს მაცნეს" სახელმძღვანელოშიც.

სახელმძღვანელოების ის ნაწილი, სადაც საუბარია ეფექტურ გადაწყეტილებაზე, კრიტიკულ აზროვნებაზე, კარგ ეკონომკურ აზროვნებაზე, ბიზნესზე, პოლიტიკაზე, ძირითადად მამაკაცთა ილუსტრაციებითაა გაფორმებული. ეს ბადებს შთაბეჭდილებას, რომ პროფესიული საქმიანობისათვის აუცილებელი მსგავსი უნარების მატარებლად თუ არა, ყოველ შემთხვევაში, საილუსტრაციოდ და სანიმუშოდ ავტორთა ჯგუფი, მხოლოდ მამაკაცთა სქესის წარმომადგენელს

მოიაზრებს. მსგავსი დამოკიდებულება სტერეოტიპული შეხედულებებების კვლავწარმოებას უწყობს ხელს.

ქალისა და მამაკაცის საქმიანობის ასახვისას დადებითი ტენდეციაც შეიმჩნევა, შედარებით მრავალფეროვანია ის საქმიანობები, რომლებიც ორივე სქესისათვის საერთოა, თუმცა გაცილებით ვრცელია იმ საქმიანობისა და როლების ნუსხა, სადაც მხოლოდ მამაკაცია წარმოდგენილი.

შესაბამისად, სახელმძღვანელო მამაკაცს უფრო მრავალმხრივად წარმოგვიდგენს, იგი უფრო აქტიური მოღვაწეა, ქალი - შედარებით პასიური, ხოლო სქესთა როლების ასახვის დროს იგრძნობა გენდერული სტერეოტიპების აშკარა გავლენა.

მიუხედავად იმისა, ჩვენი კვლევის პირდაპირი ობიექტი არ არის X კლასი, საინტერესოდ ჩავთვალეთ ერთი სასწავლო აქტივობის განხილვა გამომცემლობა ,,საქართველოს მაცნეს" იმავე საავტორო ჯგუფის მიერ შექმნილი ,,მოსწავლის რვეულიდან". თემის ,,მინდა შევქმნა ოჯახი" ფარგლებში მოსწავლეებს სთავაზობენ შეავსონ ტესტი. ცალკე არის ტესტი გოგონებისათვის ,,იდეალური ცოლი", ცალკე ბიჭებისათვის ,,იდეალური ქმარი".

ტესტის მიხედვით ,,იდეალური ცოლის" სურათი ასეთია:
სიყვარულით უნდა სურდეს ოჯახის შექმნა, სურდეს ერთზე მეტი შვილის ყოლა, უნდა თვლიდეს რომ მისი პირველი სერიოზული გატაცება აუცილებლად ქორწინებით უნდა დამთავრდეს (სავარაუდოდ, აქ იგულისმება რომ არ უნდა ჰქონდეს სექსუალური ცხოვრების გამოცდილება), დასვენების დღეებშიც ოჯახის წევრებიდან ყველაზე ადრე უნდა იღვიძებდეს, სადილს გემრიელად და სწრაფად აკეთებდეს, კარგად უნდა იცნობდეს ხელოვნების რომელიმე დარგს, ყოველთვის ზედმიწევნით უნდა იცავდეს ჰიგიენის მოთხოვნებს, არ უნდა ეწეოდეს, არ უნდა სვავდეს და როცა აწყენინებენ, ხანდახან შეუძლია იტიროს ანუ ზომიერად ემოციური უნდა იყოს. (იქვე აღნიშნულია, რომ თუ ასეთი იდეალური იქნება, შესაძლებელია გარეგნულის მონაცემების მიუხედავად მამაკაცმა მიაქციოს ყურადღება).

ტესტის მიხედვით ,,იდეალური ქმრის" სურათი ასეთია:
სიყვარულით უნდა სურდეს ოჯახის შექმნა, სურდეს ერთზე მეტი შვილის ყოლა, არ არის აუცილებელი ქორწინებით დაამთავროს პირველი სერიოზული გატაცება (დასაშვებია ჰქონდეს სექსუალური ცხოვრების გამოცდილება), უნდა შეეძლოს ან აუცილებლად უნდოდეს შეისწავლოს ავეჯის ან ყოფითი ტექნიკის შეკეთება, შრომისათვის უნდა ქონდეს მიღებული მცირეოდენი გასამრჯელო, უნდა შეეძლოს ან აუცილებლად უნდოს შეისწავლოს ,,საფირმო" კერძის მომზადება, დასაშვებია ხანდახან ხელდაუბანელიც მიუჯდეს სუფრას, სასურველია არ ეწეოდეს, არ სვავდეს, დილაობით რეგულარულად უნდა ვარჯიშობდეს, უარყოფითი დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს ნარკოტიკების მიმართ, არ უნდა აძლევდეს მეგობრებს უფლებას, მისი თანდასწრებით უდიერად მოიხსენიონ გოგონა (ვაჟი შეიძლება?).

ტესტის მიხედვით მამაკაცსა და ქალს საერთო მხოლოდ ფასეულობები აქვთ (სიყვარული, ჯანსაღი ცხოვრება, ოჯახი), თვისებები და როლი კი განსხვავებული. მამაკაცი - ქალის დამცველი, ფიზიკურად ძლიერი, ოჯახის მარჩენალი, ინტელექტი არ მოეთხოვება. ქალი - ლამაზი, ყოჩაღი, კარგი დიასახლისი, კარგი დედა (მეტნაკლებად განათლებული), ემოციური.

ქალის მიერ თუნდაც გემრიელად მომზადებული კერძი ჩვეულებრივია, ხოლო თუ იგი მამაკაცმა მოამზადა ,,საფირმოა". ვაჟებს, რომლებიც შორს არიან ,,იდეალური ქმრისაგან" ტესტი აფრთხილებს მეტი მოთმინებით მოეპყრან გარშემომყოფებს, ,,რადგან არ შეიძლება ყველაფერი შენს ჭკუაზე აკეთებინო, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ოჯახში შენ ხარ მთავარი, მამაკაცი".

ტესტი დასაშვებად მიიჩნევს ორმაგი სტანდარტის არსებობას ქალსა და მამაკაცთან მიმართებაში (სექსუალური გამოცდილება, ჰიგიენური მოთხოვნების დაცვა) სტერეოტიპულია საოჯახო საქმიანობების განაწილების შემოთავაზებული მოდელიც და მამაკაცის როლის გადამეტებულად შეფასება.

ეს ერთი შეხედვით სახალისო ტესტი გაჯერებულია მყარი გენდერული სტერეოტიპული შეხედულებებით მამაკაცისა და ქალის თვისებების, როლისა და მნიშვნელობის შესახებ. ,,სამოქალაქო განათლების" სახელმძღვანელოში მსგავსი სტერეოტიპული მიდგომისა და ღიად დისკრიმინაციული აზრის არსებობა მიუღებელია.

იძლევა თუ არა სახელმძღვანელოები გენდერული თანასწორობის საკითხების თეორიულ ცოდნას

ამ მიმართულებით პოზიტიურ შემთხვევად შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ გამომცემლობა ,,საქართველსო მაცნე"-ს სახელმძღვანელოში ორი საგაკვეთილო საათი ეთმობა თემას ,,ქალი და მამაკაცი". თემის ფარგლებში განმარტებულია გენდერი, სქესი, სტერეოტიპი. გაკვეთილი გამოჩენილი პიროვნებების (ქალისა და მამაკაცის) პიროვნული თვისებებზე მსჯელობით იწყება, შემდეგ განიხილება თვისებათა მსგავსება-განსხვავება, ტიპური ქალისა და მამაკაცის თვისებების შესახებ წარმოდგენები და მათზე სტერეოტიპების გავლენა, გენდერული ბარიერები და დისკიმინაციის საფრთხეები, გენდერული ბარიერების დაძლევის გზები.

უცნაურია, რომ თემის განხილვის შემდეგ მოსწავლეებს საშინაოდ ეძლევათ შემდეგი დავალება: ,,გამოკითხე ოჯახის წევრებს, ვის მიიჩნევენ გამოჩენილ ადამიანებად? რატომ?". ამგვარი სასწავლო აქტივობა შესაძლოა მიზანშეწონილია მოსწავლის პიროვნული განვითარებას ხელშესაწყობად, მაგრამ თემის ,,ქალისა და მამაკაცი" განხილვის შემდეგ, სასურველი იქნებოდა, მოსწავლისათვის შეეთავაზებინათ ისეთი დავალება, რომელიც გაკვითილზე მოკლე დროის მანძილზე განხილული ძალიან მნიშვნელოვანი საკითხების ჩაღრმავების საშუალებას უკეთ მისცემდა. ამასთანავე ქალისა და მამაკაცის თვისებათა მსგავსების მხოლოდ გამოჩენილი პიროვნებების ფონზე განხილვამ, შესაძლოა მოსწვლეებს ჩამოუყალობოს არასწორი დამოკიდებულება, რომ ქალებისა და მამაკაცების თვისებები და შესაძლებლობები მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაშია თანაბარი.

გამომცემლობა ,,სიდი”-ს სახელმძღვანელო არ იძლევა ცოდნას ისეთ საკითხებზე, როგორიცაა გენდერი და გენდერული თანასწორობა.

სახელმძღვანელოებში განხილული ისეთი თემების დროს, როგორიცაა დემოკრატია, თანასწორობა, დისკრიმინაცია და ადამიანის უფლებები, საერთოდ არაა ან უმნიშვნელოდაა გამახვილებული ყურადღება გენდერულ უთანასწორობაზე, სქესთა თანასწორი წარმომადგენლობის მნიშვნელობასა და შესაძლებლობაზე, ქალთა უფლებებზე, ქალთა უფლებებისათვის ბრძოლის ისტორიაზე, ოჯახურ ძალადობაზე.

გენდერული ხედვა სასწავლო აქტივობებში

გამომცემლობა ,,სიდი”-ს სახელმძღვანელო არ იძლევა თეორიულ ცოდნას გენდერული თანასწორობის საკითხებზე, თუმცა ცალკეული პრობლემები განხილულია გენდერულ ჭრილში.

ამის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ სასწავლო აქტივობა, რომელიც გამოიყენება თემის ,,ტრეფიკინგი” სწავლებისას. მოსწავლეებს ჯგუფური მუშაობის შედეგად უნდა შექმნან ტრეფიკინგის მსხვერპლი ქალის, ბავშვისა და მამაკაცის პორტრეტი. შემდეგ კი უნდა იმსჯელონ, თუ როგორ მიიღებს საზოგადოება მსხვერპლ ქალსა და მამაკაცს. არის თუ არა ამ მიმართებით განსხვავებული დამოკიდებულება ქალისა და მამაკაცის მიმართ?

ასევე პოზიტიურია ის, რომ სხვადასხვა სოციალური დაავადებების განხილვისას მოყვანილია გენდერული სტატისტიკა (ნიკოტინის მომხმარებელთა, შიდსით დაავადებულთა).

ამავე სახელმძღვანელოში მოყვანილია მაგალითები, თუ რა დამიკიდებულება ჰქონდათ სხვადასხვა დროსა და ქვეყანაში სოციალური დაავადების მიმართ. მაგალითად:

- 1692 წელს სან-ტიაგოში თამბაქოს მოხმარებისათვის სასტიკად დასაჯეს 5 მონაზონი;
- ნებისმიერ რომაელს ჰქონდა ცოლის მოკვლის უფლება, თუ სიმთვრალეს შენიშნავდა;
- ჰოლანდიაში ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფ ქალებს აყურყუმელავებდნენ წყალში;
- ბაბილონში ნებადართული იყო ტუბერკულიოზით დაავადებულ ქალთან განქორწინება (ჰამურაბის კანონები).

მართალია, სახელმძღვანელოში არაა ხაზგასმული, თუ რა პასუხიმგებლობა ეკისრებოდა მამაკაცს ან ისჯებოდა თუ არა იგი მსგავს შემთხვევებში. მიუხედავად ამისა, ასეთი მაგალითების მოყვანა, სავარაუდოდ, გააჩენს ინტერესს მოსწავლეებში და კარგი შესაძლებლობაა ისეთ პრობლემებზე დაფიქრებისათვის, როგორიცაა პირდაპირი თუ ირიბი დისკრიმინაცია სქესის ნიშნით და ორმაგი სტანდარტი.

ცალკეული დადებითი მაგალითების მიუხედავად ალტერნატიული სახელმძღვანელოების ავტორები არ იყენებენ შესაძლებლობებს, გენდერულ ასპექტში განიხილონ სხვადასხვა მოვლენა, ფაქტი, პრობლემა. მაგ. თემა ,,ვირჩევთ პროფესიას", რომელიც ვრცლად არის განხილული, იძლევა საშუალებას პროფესიების არჩევაზე გენდერული სტერეოტიპების გავლენაზე საუბრისაც. თემა ,,ოჯახი" - გენდერული როლების გავლენა ოჯახის წევრებს შორის პასუხისმგებლობების გადანაწილებაზე და მრავალი სხვ.

სახელმძღვანელოში მოცემული სასწავლო აქტივობები ძირითადად ნეიტრალურია სქესის ნიშნით. არ განიხილავს სხვადასხვა მოვლენასა თუ პრობლემას გენდერულ ჭრილში. აქტივობების შესრულებისათვის სქესი არ წარმოადგენს დაყოფის პრინციპს და არ უყენებს განსხვავებულ სასწავლო მოთხოვნებს გოგონებსა და ბიჭებს.

ზოგადად, როგორც რაოდენობრივმა, ასევე შინაარსობრივმა კვლევამ გვიჩვენა, რომ გარკვეული გენდერული მგრძნობელობის არსებობის მიუხედავად, სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოებში გენდერულად დისკრიმინაციული მიდგომა იკვეთება. სახელმძღვანელოს შედგენისას არ ჩანს სურვილი, ან ყურადღება ნაკლებად ექცევა, სქესთა თანასწორ რეპრეზენტაციას. შესაბამისად სახელმძღვანელოები ჯეროვნად არ წარმოაჩენს ქალთა როლს, წვლილსა და მნიშვნელოვნებას საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. მართალია, სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოები იძლევა გარკვეულ ცოდნას ადამიანთა უფლებებზე, თანასწორობაზე, მაგრამ ნაკლებად ან თითქმის არ იძლევა ცოდნას სხვადასხვა სქესისათვის რეალურ ცხოვრებაში ამ უფლებების რეალიზების ხშირად უთანასწორო შესაძლებლობებზე.

დასკვნები

- საზოგადოებრივი მეცნიერებების სახელმძღვანელოს როგორც რაოდენობრივმა, ისე თვისობრიბრივმა ანალიზმა გამოავლინა დისკრიმინაცია სქესთა რეპრეზენტაციის დროს. ძირითად ტექსტში, ისტორიულ წყაროებსა და სასწავლო აქტივობებში, ასევე ილუსტრაციებში ქალთა რეპრეზენტაცია მცირეა, იგი მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება მამაკაცთა რეპრეზენტაციას.

- თვისობრივი/შინაარსობრივი ანალიზი ადასტურებს, საზოგადოებრივი მეცნიერებების (განსაკუთრებით, ისტორიის სახელმძღვანელოში) საკმაოდ ძლიერი გენდერული სტერეოტიპების შემცველობას. მამაკაცები ხაზგასმით ტრადიციულ როლში არიან წარმოდგენილები: მონადირე, მებრძოლი, მბრძანებელი; ქალი არ უკავშირდება ისეთ საქმიანობას ან როლს, რომელიც კომპეტენციას, ავტორიტეტულობას, გადაწყვეტილების მიღებას გულისხმობს, მისი საქმიანობა ძირითადად დედობა, ოჯახის გაძღოლაა.

- საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების დროს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ისეთი თემების სწავლების დროს, როგორიცაა დემოკრატია, თანასწორობა, დისკრიმინაცია და ადამიანის უფლებები, არაა ან არასაკმარისადაა გამახვილებული ყურადღება გენდერულ უთანასწორობაზე, სქესთა თანასწორი წარმომადგენლობის მნიშვნელობასა და შესაძლებლობაზე, ქალთა უფლებებზე, ქალთა უფლებებისათვის ბრძოლის ისტორიაზე, ოჯახურ ძალადობაზე და სხვა მსგავს საკითხებზე, რის გარეშეც წარმოუდგენელია აღნიშნული თემის სრულყოფილი გააზრება.

- საზოგადოებრივი მეცნიერებების სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სხვადასხვა საკითხების სწავლებისას ყურადღება არ ექცევა გენდერულ ასპექტს, რაც ხელს შეუწყობდა მოწაფეებში გენდერული მგრძნობელობის გამომუშავებასა და გენდერული ანალიზის უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის საბაზო საფეხურის (VII-IX) საზოგადოებრივი მეცნიერებების სახელმძღვანელოები არასაკმარისად უწყობს ხელს სქესთა თანასწორობის იდეის განვითარებას, ნაკლებად ასახავს გენდერული თანასწორობის საკითხებს, გვხვდება გენდერული სტერეოტიპები. შესაბამისად საზოგადოებრივი მეცნიერებების სასკოლო სახელმძღვანელოები ვერ უზრუნველყოფს მამაკაცისა და ქალების ქცევის იმ სოციო-კულტურულ მოდელების შეცვლას, რომელიც ამკვიდრებენ ერთი სქესის არასრულფასოვნებისა და მეორე სქესის უპირატესობის იდეას.

ზოგადი რეკომენდაციები

ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში გენდერული ხედვის ინტეგრაციისათვის ძირეული მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლებას. ამ საგნების სწავლების მიზნები და შინაარსი იძლევა შესაძლებლობას, მოსწავლეებისათვის როგორც გენდერული თანასწორობის თეორიული საფუძვლების გაცნობის, ასევე მოსწავლეებში გენდერული მგრძნობელობის, გენდერული ანალიზის უნარ-ჩვევების გამომუშავებისა და სქესთა თანასწორობის მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების გამყარების.

იმისათვის რომ სკოლამ, როგორც სოციალიზაციის ერთ-ერთმა უმნიშვნელოვანესმა ინსტიტუტმა, ხელი შეუწყოს მოზარდებში სწორი გენდერული ცნობიერების ჩამოყალიბებას,

იმისათვის, რომ საზოგადოებრი მეცნიერების სასკოლო სახელმძღვანელოები უზრუნველყოფდეს მამაკაცისა და ქალების ქცევის იმ სოციო-კულტურულ მოდელების შეცვლას, რომელიც ამკვიდრებენ ერთი სქესის არასრულფასოვნებისა და მეორე სქესის უპირატესობის იდეას,

გასათვალისწინებელია შემდეგი რეკომედაციები:

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს

(ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების დეპატრამენტი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი)

- ⇒ ერთიანი ეროვნული სასწავლო გეგმის საზოგადოებრივი მეცნიერებების პროგრამულ ნაწილში მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს სქესთა თანასწორობის საბაზისო საკითხების ცოდნასა და მოსწავლეებში გენდერული მგრძნობელობისა და გენდერული ანალიზის უნარ-ჩვევების გამომუშავებას.

⇒ სახელმძღვანელოების სტანდარტების (რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს სახელმძღვანელო) შემუშავებისას განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა გაითვალისწინოს გენდერული პარამეტრები.

⇒ სახელმძღვანელოების შექმნასა და გამოცემაზე კონკურსის გამოცხადებისას სავალდებულო გახადოს გენდერული პარამეტრების დაცვა სახელმძღვანელოს შემქმნელებისათვის (ავტორთა ჯგუფი, ილუსტრატორები გამომცემლობა). სასურველია, საკონკურსო დოკუმენტაციას დაერთოს მითითება იმის შესახებ, თუ როგორაა შესაძლებელი გენდერული პარამეტრების დაცვა სახელმძღვანელოების შექმნისას.

⇒ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ იზრუნოს სახელმღძვანელოთა ავტორთა, ასევე პედაგოგთა გენდერული მგრძნობელობის ამაღლებაზე ტრენიგების ჩატარების გზით, უზრუნველყოს პედაგოგთა უწყვეტი განათლების პროგრამაში გენდერული თანასწორობის საბაზისო საკითხების შესახებ ინფორმაციის ჩართვა.

რეკომენდაციები სახელმძღვანელოების ავტორებს

⇒ საზოგადოებრივი მეცნიერებების სახელმძღვანელოთა ავტორებმა მეტი ყურადღება გაამახვილონ თანასწორობის გენდერულ ასპექტზე; ეროვნული სასწავლო გეგმა სავალდებულო მოთხოვნად არ აყენეს გენდერული პრობლემატიკის განხილვას, თუმცა მისი შინაარსი იძლევა პროგრამის ფარგლებში ამ საკითხების განხილვის შესაძლებლობას.

⇒ ავტორებმა სასწავლო აქტივობებში მეტი ყურადღება გაამახვილონ გენდერული უთანასწორობის საკითხებზე. არ შემოიფარგლონ მხოლოდ მშრალი ფაქტების კონსტატაციით, არამედ შესთავაზონ მოსწავლეებს პროცესებში უთანასწორო ჩართულობის, ან უთანასწორო გავლენის მიზეზებზე მსჯელობა ან კვლევა.

⇒ საზოგადოებრივი მეცნიერებების სახელმძღვანელოების შემნისას ავტორებმა უნდა უზრუნველყონ ქალისა და მამაკაცის შეძლებისდაგვარად თანასწორი რეპრეზენტაცია. მამაკაცებთან ერთან მაქსიმალურად უნდა ასახონ ქალთა მონაწილეობა ისტორიულ თუ თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

რეკომენდაციები გამომცემლობებს

⇒ სახელმძღვანელოების მხატვრულად გაფორმებისას ილუსტრაციებში დაიცვან გენდერული ბალანსი. სასკოლო სახელმძღვანელოში ილუსტრაციები არის არა ტექსტის გასაფორმებელი დეკორაცია, არამედ გარკვეული ინფორმაციის მატარებელი (ვიზუალური მეხსიერება უფრო ძლიერია ვიდრე სმენითი). საჭიროა სწორი გზავნილების გავავრცელება, რათა სწავლების დროს უნებურად გენდერული სტერეოტოპების გამყარებას არ შევუწყოთ ხელი.

კვლევის ობიექტი

	სახელმძღვნელო	კლასი	გვერდების რაოდეობა	ავტორები	გამომცემლობა
1.	ისტორია	VII	336	გიორგი სანიკიძე, ლევან გორდეზიანი, ლალი ფირცხალავა	ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
2.	ისტორია	VII	263	ელენე მეძმარიაშვილი მურმან პაპაშვილი რუსუდან დაუშვილი თეიმურაზ პაპასქირი ლიანა გიორგობიანი	კლიო
3.	ისტორია	VIII	336	გიორგი სანიკიძე რევაზ გაჩეჩილაძე ლევან გორდეზიანი ნინო კიღურაძე ზვიად მიმინოშვილი	ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა

4.	ისტორია	VIII	304	ელენე მეძმარიაშვილი თეიმურაზ პაპასქირი მურმან პაპაშვილი რუსუდან დაუშვილი ოთარ ჯანელიძე აპოლონ თაბუაშვილი თამარ ხატიაშვილი მარეხ კავთიაშვილი	კლიო
5.	საქართველოს ისტორია	IX	426	ნოდარ ასათიანი მარიამ ლორთქიფანიძე ფარნაოზ ლომაშვილი როინ მეტრეველი გიორგი სანიკიძე გიორგი ოთხმეზური	ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
6.	საქართველოს ისტორია	IX	380	ოთარ ჯანელიძე აპოლონ თაბუაშვილი ლერი თავაძე ნანა ირემაშვილი	კლიო

სახელმძღვანელოების ავტორთა გენდერული შემადგენლობა

სახელმძღვანელო	**ავტორთა რაოდენობა**			**პროცენტული შემადგენლობა**	
	სულ	**ქალი**	**მამაკაცი**	**ქალი**	**მამაკაცი**
სახელმძღვანელო 1	3	1	2	30%	70%
სახელმძღვანელო 2	5	3	2	60%	40%
სახელმძღვანელო 3	5	1	4	20%	80%
სახელმძღვანელო 4	8	4	4	50%	50%
სახელმძღვანელო 5	6	1	5	17%	83%
სახელმძღვანელო 6	4	1	3	25%	75%
სულ	**31**	**11**	**20**	**34%**	**66%**

სახელმძღვანელოში მოხსენიებული ისტორიული პირი ქალი

სახელმძღვანელო	**ჩამონათვალი**	**რაოდენობა**
სახელმძღვანელო 1	მედეა, მშვენიერი ელენე, დედოფალი ელენე, ბრუნჰილდა, თეოდორა, ელისაბედი, ჟანა დ'არკი, ანა კომნინა, იზაბელა კასტილიელი, ელიზაბეთ I, მერი ტიუდორი, ეკატერინე მედიჩი და სხვ.	**15**
სულ	**15**	**35-ჯერ**
სახელმძღვანელო 2	ჰატშეპსუტი, მშვენიერი ელენე, მედეა, დედოფალი ელენე, თეოდორა, ბრუნჰილდა, ჟანა დ'არკი, იზაბელა, კეტრინ არაგონელი, ელიზაბეთ I, ანა ბოლეინი, მერი ტიუდორი, მარია სტიუარტი და სხვ.	**18**
სულ	**18**	**35 -ჯერ**
სახელმძღვანელო 3	ელიზაბეთ I, მერი ტიუდორი, ელეონორა რუზველტი და სხვ.	**5**
სულ	**5**	**12 -ჯერ**
სახელმძღვანელო 4	ჰატშეპსუტი, ნეფერტიტი, ელიზაბეთ I და სხვ.	**10**
სულ	**10**	**20 -ჯერ**
სახელმძღვანელო 5	მედეა, სერაფიტა, წმ. ნინო, დედოფალი ნანა, შუშანიკი, მარიამ დედოფალი, ტამარი, წმ. ქეთევანი, ხორეშანი და სხვ.	**10**
სულ	**10**	**20-ჯერ**
სახელმძღვანელო 6	სერაფიტა, დედოფალი ნანა, წმ. ნინო, მართა-მარიამ დედოფალი, თამარი, რუსუდანი და სხვ.	20
სულ	**20**	**50-ჯერ**
ჯამური რაოდენობა	**78**	**172-ჯერ**

სახელმძღვანელოების ილუსტრაციებში სქესთა რეპრეზენტაცია

სახელმძღვანელო	ილუსტრაციების რაოდენობა				პროცენტული შემადგენლობა		
	სულ	ქალი	მამაკაცი	შერეული	ქალი	მამაკაცი	შერეული
1.	170	5	130	36	3%	76%	21%
2.	186	20	120	46	10%	65%	25%
3.	148	8	120	20	5%	81%	14%
4.	184	7	140	37	4%	76%	20%
5.	113	18	85	10	16%	75%	9%
6.	198	13	170	15	7%	85%	8%
სულ	1000	71	765	164	**7%**	**77%**	**16%**

სახელმძღვანელოების ილუსტრაციებში სქესთა რეპრეზენტაცია (საქმიანობა, გენდერული როლები)

ქალის საქმიანობა	მამაკაცის საქმიანობა	საერთო საქმიანობა
შრომობს/მსახურობს ერთობა	*მართავს იბრძვის მოუწოდებს შრომობს ნადირობს ასწავლის ჯირითობს*	*შრომა გართობა*

ქალის როლი	მამაკაცის როლი	საერთო როლები
დედოფალი/დედა-დედოფალი წმინდანი	*მეფე/მბრძანებელი მებრძოლი/ჯარისკაცი/მხედართმთავარი რევოლუციონერი/მეამბოხე მკვლევარი/მეცნიერი/ მასწავლებელი/კულტურის სფეროს მოღვაწე მონა/ გლეხი*	*მუშა გლეხი კულტურის სფეროს მოღვაწე*

სამოქალაქო განათლება

დანართი 2.

კვლევის ობიექტი

№	**სახელმძღვნელო**	**კლასი**	**გვერდების რაოდეობა**	**ავტორები**	**გამომცემლობა**
1.	სამოქალაქო განათლება	IX	158	ნინო ტალახაძე, თამარ ქალდანი, თამარ ბრეგვაძე, ივანე პეტრიაშვილი	სიდი
2.	სამოქალაქო განათლება	IX	158	თამარ მეიფარიანი, ლელა მიქიაშვილი, ირინე ჯალაღანია, მაია გონაშვილი, მიხეილ თოქმაზიშვილი, დალი შავლოხაშვილი, რუსუდან დალაქიშვილი	საქართველოს მაცნე

სახელმძღვანელოების ავტორთა გენდერული შემადგენლობა

სახელმძღვანელო	**ავტორთა რაოდენობა**			**პროცენტული შემადგენლობა**	
	სულ	**ქალი**	**მამაკაცი**	**ქალი**	**მამაკაცი**
სახელმძღვანელო 1	4	3	1	**75**	**25**
სახელმძღვანელო 2	7	6	1	**86**	**14**
სულ	11	9	2	**82%**	**18%**

სახელმძღვანელოში მოხსენიებული ისტორიული პირი ქალი/ქალთა ჯგუფი, მოძრაობა, ქალთა ან გენდერულ პობლემებზე მომუშავე ორგანიზაცია

სახელმძღვანელო	**ჩამონათვალი**
სახელმძღვანელო 1	**ისტორიული პირი** თამარ მეფე ეკატერინე II **ორგანიზაცია** საქრთველოს სახალხო დამცველის ბავშვისა და ქალთა უფლებების ცენტრი
სულ	**3**
სახელმძღვანელო 2	**ისტორიული პირი** დედა ტერეზა სალომე დადიანი ნინო პოლტორაცკაია (ექვთიმე თაყაიშვილის მეუღლე) ბეატრიჩე (დანტე ალიგიერის სატრფო) ლაურა (პეტრარკას სატრფო) **ორგანიზაცია** მისიონერთა საქველმოქმედო ორდენი - ,,საერთშორისო რელიგიური ოჯახი" (დედა ტერეზას მიერ დაარსებული)
სულ	**6**
სულ სახელმძღვანელოებში	**7 მდედრობითი სქესის ისტორიული პირი და 2 ორგანიზაცია**

სახელმძღვანელოების ილუსტრაციებში სქესთა რეპრეზენტაცია

სახელმძღვანელო №	ილუსტრაციების რაოდენობა					პროცენტული შემადგენლობა			
	სულ	ქალი	მამაკაცი	შერეული*	სქესი არ არის მკფიოდ გამოხატული	ქალი	მამაკაცი	შერეული*	სქესი არ არის მკფიოდ გამოხატული
1.	122	17	50	47	8	**14**	**41**	**39**	**6**
2.	72	12	33	23	4	**17**	**46**	**32**	**5**
სულ	194	29	83	70	12	**15%**	**43%**	**36%**	**6%**

*შერეულ ილუსტრაციებში გენდერული თანაფარდობა

სახელმძღვანელო №	შერეული ილუსტრაციების რაოდენობა				პროცენტული შემადგენლობა		
	სულ	ქალთა უპირატესობით	მამაკაცთა უპირატესობით	თანაბრად ა წარმოდგენილი	ქალთა უპირატესობით	მამაკაცთა უპირატესობით	თანაბრად ა წარმოდგენილი
1.	47	10	16	21	**21**	**34**	**45**
2.	23	1	11	11	**4**	**48**	**48**
სულ	70	11	27	32	**16%**	**38%**	**46%**

სახელმძღვანელოების ილუსტრაციებში სქესთა რეპრეზენტაცია

(საქმიანობა და გენდერული როლები)

	ქალის საქმიანობა	მამაკაცის საქმიანობა	საერთო საქმიანობა
სახელმძღვანელო 1	• სადილს ამზადებს • ყიდულობს • კერავს • ცხენზე ჯირითობს • ფულს (გასამრჯელოს) ითვლის	• კანონს წერს • გადაწყვეტილებას იღებს (ფიქრობს) • სადილს მიირთმევს (ქალის მიერ შეთავაზებულს) • თავჩარგული ზის (სამსახურიდან დაითხოვეს) • აპროტესტებს • სიტყვით მიმართავს საზოგადოებას • ბიზნესის მოგებით ხარობს • ფირმის მოგებას ანგარიშობს • სპორტს მისდევს (კალათბურთი, ჩოგბურთი, ფეხბურთი, კრივი, ფარიკაობა, ჭიდაობა) • ნარკომანიის წინააღმდეგ მოგვიწოდებს • საარჩევნო დებატებში მონაწილეობს • არჩევნებს აშუქებს	• სასწავლო პროცესშია ჩართული (წერს, კითხულობს, უსმენს) • კომპიუტერზე მუშაობს • ასწავლის • ცეკვავს • წარმატებას აღწევს (საფეხურებზე ადის) • ხმას აძლევს არჩევნებზე • კენჭისყრის შედეგებს ითვლის • სამუშაოს ეძებს (დასაქმების განცხადებებს კითხულობს) • კამათობს • შეჯიბრში მონაწილეობს (სირბილი, თოკის გადაწევა) • ისვენებს ბუნებაში • ველოსიპედით სეირნობს ოჯახთან ერთად • თამაშობს ბურთით ზღვის სანაპიროზე • ალკოჰოლს მიირთმევს

სახელმძღვანელო 2	• აზრს გამოთქვამს • ბრბოს ზეგავლენის ქვეშ ექცევა • ზრუნავს მიუსაფარზე • შრომობს	• ცოდნას იძენს • იცავს უსაფრთხოებას • ძაღლს ეფერება • სპორტითაა დაკავებული • ტრეფიკიორია • შემოსავალს ითვლის • მონაწილეობს აქციაში • ქვებს ისვრის • ითხოვს უფლებებს	• მოგზაურობს • ისვენებს • ილხენს • მოწყალებას ითხოვს • ალკოჰოლს მიირთმევს • სიგარეტს ეწევა

	ქალის როლი	მამაკაცის როლი	საერთო როლი
სახელმძღვანელო 1	• დედა • ქალღმერთი (სამართლიანობის) • შეხვედრის ფასილიტატორი • მომხმარებელი • ძიძა • მაღაზიის გამყიდველი	• მამა • რეპორტიორი • აქციის მონაწილე • გადაწყვეტილების მიმღები • მრჩეველი • მზარეული • მექანიკოსი • მშენებელი • მუშა • სპორტსმენი • ჟურნალისტი • ოპერატორი • ტრეფიკიორი • ნარკომანი • ტუბერკულიოზით დაავადებული • მოვალე • გადასახადის გადამხდელი • ბიზნესმენი • საარჩევნო დებატებში მონაწილე კანდიდატი	• მოსწავლე • მშობელი • მასწავლებელი • ექიმი • ოფისის თანამშრომელი • ნაფიცი მსაჯული • საარჩევნო კომისიის წევრი • სკოლის მანდატური • კონკურენტი • კონფლიქტის მონაწილე • ტრეფიკინგის მსხვერპლი • მიგრანტი • ჯანსაღი ცხოვრების მიმდევარი • ალკოჰოლზე დამოკიდებული
სახელმძღვანელო 2	• დამხმარე სამედიცინო პესონალი • დედა • ბრბოს ანგარიშსწორების მსხვერპლი • ქველმოქმედი	• პარლამენტარი • გმირი • ოფისის თანამშრომელი • ჯარისკაცი • სპორტსმენი • მოძალადე • ტრეფიკიორი • ექიმი • მხედარი • მეცნიერი	• მოსწავლე • მშობელი • ტრეფიკინგის მსხვერპლი • მოგზაური • მიგრანტი • ლტოლვილი • მოღვაწე • მომხმარებელი